**სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის**

**რიგგარეშე ონლაინ სხდომის ოქმი N6**

22 დეკემბერი, 2021 წელი ქ. თბილისი

2021 წლის 22 დეკემბერს გაიმართა სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის რიგგარეშე ონლაინ სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ დირექტორატის წევრები:

- **დავით ლორთქიფანიძე** - სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი
- **ნიკა ახალბედაშვილი** - შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნული გალერეისა და სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის (შემდგომში - მუზეუმთა ჯგუფი) დირექტორი
- **ნინო ჭიპაშვილი** - გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის დირექტორი
- **ნინო სალუქვაძე** - ქართული სპორტის მუზეუმის დირექტორი
- **ირაკლი ღვალაძე** - სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმასრულებელი დირექტორი
- **მაკა სოხაძე** - გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის სპეციალისტი

**განსახილველი საკითხები:**

I. სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, კერძოდ:
   - 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი;
   - სხვა მიმდინარე საკითხები.

II. მუზეუმთა ჯგუფთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, კერძოდ:
   - მუზეუმთა ჯგუფის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი;
   - სხვა მიმდინარე საკითხები.

III. გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, კერძოდ:
   - მუზეუმის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი;
   - სხვა მიმდინარე საკითხები.

IV. ქართული სპორტის მუზეუმთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, კერძოდ:

- მუზეუმის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი;
- სხვა მიმდინარე საკითხები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, **ნინო ჭიპაშვილმა** დირექტორატის წევრებს აცნობა, რომ ვინაიდან ეთნოგრაფიული მუზეუმი აპირებდა შპს ,,პასტიჩერიასთან" საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტას, საჭიროდ მიაჩნდა, დირექტორატის წევრებს აღნიშნულთან დაკავშირებით სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენლად განესაზღვრათ მისი კანდიდატურა და გაეცათ მინდობილობა, როგორც ეს მოხდა შპს ,,მეიდან ჯგუფთან" მიმართებით. **ნ. ჭიპაშვილმა** აღნიშნა, რომ მოამზადებდა მინდობილობის პროექტს და ხელმოწერებისთვის ელ. ფოსტაზე გადაუგზავნიდა გენერალური დირექტორის თანაშემწეს. **ნიკა ახალბედაშვილმა** დააყენა საკითხი მუზეუმთა ჯგუფის დამტკიცებული საშტატო განრიგის ცვლილების თაობაზე, რომლის მიხედვით ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლის გარდაცვალების გამო, გეგმავდა ხელოვნების მუზეუმის 1 ასისტენტ-კურატორის შტატის სიღნაღის ეთნოგრაფიულ მუზეუმში გადატანას და აღნიშნული მიმართულებით სიღნაღის მუზეუმის გაძლიერებას, ასევე სწორდებოდა რამდენიმე მექანიკური შეცდომა სარგოების ნაწილში. საშტატო განრიგში ცვლილებები არ იწვევდა მუზეუმთა ჯგუფის დამტკიცებული საშტატო ერთეულების რაოდენობისა და სარგოს ჯამური ოდენობის ცვლილებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დირექტორატის წევრებს შენიშვნა არ დაუფიქსირებიათ და ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი საშტატო განრიგში ცვლილებას დანართი 1-ის შესაბამისად.

აგრეთვე, **ნინო ჭიპაშვილმა** დირექტორატის წევრებს მიაწოდა სასიხარულო ინფორმაცია, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას პირადი არქივის შესახებ. მან აღნიშნა, რომ აღნიშნულ არქივს ათეული წლების განმავლობაში პატრონობდა და იცავდა გიორგი ჩიტაიას მოწაფე ქალბატონი თამილა ცაგარეიშვილი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება არქივის სახელმწიფოსთვის - საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სახით, გადაცემის თაობაზე. **ნ. ჭიპაშვილმა** დასძინა, რომ არქივი დროებით განთავსდებოდა სამინისტროში, სადაც მოხდებოდა მისი აღწერა და დაცვის სათანადო პირობების უზრუნველყოფის შემდგომ, გიორგი ჩიტაიას სურვილისამებრ, საბოლოოდ დაბინავდებოდა ეთნოგრაფიულ მუზეუმში. დირექტორატის წევრებმა აღნიშნეს, რომ ყველა კეთილი საქმე მისასალმებელია და გადავიდნენ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვაზე.

**ი. ღვალაძემ** აღნიშნა, რომ დირექტორატის სხდომის ჩატარებამდე, ერთი დღით ადრე მუზეუმთა ჯგუფის დირექტორთან ნ. ახალბედაშვილთან შედგა 2022 წლის ბიუჯეტის განხილვა და დირექტორატის წევრებს მიმართა, აღნიშნულთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ მათ დამატებითი შეკითხვები.

**ნ. ახალბედაშვილმა** გაიხსენა დირექტორატის წინა სხდომა და კიდევ ერთხელ განმარტა, თუ რაში მდგომარეობდა საკითხის არსი. მისი თქმით, ხელოვნების მუზეუმი გადიოდა ძალიან

მნიშვნელოვან გზას, რაც გულისხმობდა მუზეუმის აღდგენას, მისთვის იმ სახელის და დიდების დაბრუნებას, რომელსაც ის იმსახურებდა. აგრეთვე, **ნ. ახალბედაშვილი** შეეხო მუზეუმთა ჯგუფში დაგეგმილ პროცესებს, რომლებიც უკვე დაწყებული იყო და ინტენსიურად მიმდინარეობდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, მან გაიხსენა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის და დირექტორატის წევრების პრინციპული მოსაზრება, რომლის თანახმად ხელოვნების მუზეუმი ერთხმად დასახელდა N1 პრიორიტეტად. მან, აგრეთვე, გააჟღერა საკუთარი პოზიცია, რომლის მიხედვით ვინაიდან 2022 წელი მუზეუმისთვის ინფრასტრუქტურის მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი წელი იქნებოდა, მაქსიმალურად მომხდარიყო იმ თანხების მობილიზება აღნიშნული მიმართულებით, რისი საშუალებაც ექნებოდა სსიპ - საქართველოს ეროვნულ მუზეუმს. **ნ. ახალბედაშვილმა,** ასევე, გაიხსენა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელმძღვანელობის პასუხი, რომლის თანახმად თუკი მოიძებნებოდა რაიმე თანხა ეროვნული მუზეუმის ბიუჯეტში, ხელოვნების მუზეუმის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, მოხდებოდა ამ თანხის დათმობა ხელოვნების მუზეუმის სასარგებლოდ. ამასთანავე, მისი ინფორმაციით, შედგა საუბარი, მეილების დონეზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რაც საბოლოოდ დასრულდა საფინანსო სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრით, რა დროსაც მოხდა ბიუჯეტის დეტალურად განხილვა. **ნ. ახალბედაშვილმა** ისაუბრა თავის მოსაზრებაზე, რომელიც ეხებოდა ინფრასტრუქტურის ნაწილში მის პოზიციას, თუ რისი წამოღება შეიძლებოდა ჯანაშიას მუზეუმის ბიუჯეტიდან. მან ყურადღება გაამახვილა ამ მიმართულებით არსებულ რამდენიმე პუნქტზე, სადაც იგი ხედავდა რესურსს, რომლის გადმოტანაც შეიძლებოდა და საჭირო იყო, დირექტორატის წევრთა თანხმობა.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, **ნ. ახალბედაშვილმა** დაწვრილებით განიხილა ჯანაშიას მუზეუმის მიერ მომზადებული 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი. მისი აზრით, ოფისის ხარჯებში იყო 988 000 ლარი ბიუჯეტით გათვალისწინებული, რომელიც შემდეგნაირად იშლებოდა: 219 000 ლარი - დასუფთავება, 300 000 - „თბილი სახლი", 265 000 - დაცვის პოლიცია, 5 000 - საკანცელარიო, 4900 - ჰოსტინგი, 33360 - ინტერნეტი, 15000 - დესი, 4800 - საბანკო ტერმინალები და ა.შ. ამ მომსახურებების ჯამური ღირებულება შეადგენდა 875 00 ლარს და რესურსი აღნიშნული მუხლიდან, რომელიც არ იყო გაწერილი, აღწევდა დაახლოებით 112 000 ლარს. მისი განმარტებით, არცერთ მუზეუმს კომუნალური თანხა არ ჰქონდა ჩადებული.

**ი. ღვალაძემ** განმარტა, რომ 100 000 ლარი წარმოადგენდა 2022 წლის იანვარ-თებერვლის თვეების კომუნალური ხარჯების დასაფარად გათვალისწინებულ თანხას. მან აღნიშნა, რომ არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, თავიდან მუზეუმი იხდიდა კომუნალურ თანხას და შემდგომ ეხმარებოდა სამინისტრო. მან აღნიშნა, რომ არ ფლობდა ინფორმაციას, თუკი სამინისტრო თავიდანვე დაეხმარებოდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმს კომუნალური გადასახადების თანხების დაფარვაში, რაზედაც **ნ. ახალბედაშვილმა** უპასუხა, რომ მუზეუმთა ჯგუფს ბიუჯეტში საერთოდ არ ჰქონდა გაწერილი კომუნალური თანხები.

**ნ. ახალბედაშვილმა** აღნიშნა, რომ ოფისის ხარჯებში საკუთარი შემოსავლებიდან, რაც შეადგენდა 209 000 ლარს - მ. შ. 4900 - კარტრიჯების დატენვა, 35000 - ბეჭდვა, 9000 -

სატელეფონო, 4900 - ფოსტა და ა.შ., კონკრეტული მიზნობრიობის გარეშე არსებული რესურსი შეადგენდა 138 000 ლარს.

**ი. ღვალაძემ** განმარტა, რომ წლის განმავლობაში, მთელი ინფრასტრუქტურის მასშტაბით სად რა საჭიროება იჩენდა თავს, შეუძლებელი იყო წინასწარ გათვლა, რაზედაც **ნ. ახალბედაშვილმა** უპასუხა, რომ მას დღეისათვის უკვე ჰქონდა განსაზღვრული ხელოვნების მუზეუმის კონკრეტული საჭიროებები და ეს იყო მისი ამოსავალი.

**ი. ღვალაძე** დაინტერესდა, კონკრეტულად რა თანხა სჭირდებოდა ხელოვნების მუზეუმს ინფრასტრუქტურისთვის.

**ნ. ახალბედაშვილმა** აღნიშნა, რომ მათ ბიუჯეტში ხედავდა დაახლოებით 250 000 ლარს, რომლის წამოღებაც შეიძლებოდა, მ. შ. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.

**ი. ღვალაძემ** აღნიშნა, რომ 250 000 ლარი იყო ძალიან დიდი ციფრი. აგრეთვე, მოითხოვა დაზუსტება, თუ რა თანხებს მოიაზრებდა ნ. ახალბედაშვილი 250 000 ლარში - კომუნალური გადასახადების ხარჯს - 100 000 ლარს და საკუთარი შემოსავლებიდან მიღებულ თანხას?

**ი. ღვალაძემ** კიდევ ერთხელ განმარტა, რომ კომუნალური გადასახადების ანაზღაურების თანხა თავიდანვე იდებოდა მომავალი წლის ბიუჯეტში, რადგან მისი აზრით, გამორიცხული იყო სამინისტროს თავიდანვე დაეფინანსებინა მუზეუმები აღნიშნული საჭიროებისათვის.

**ნ. ახალბედაშვილმა** აღნიშნა, რომ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში ჩადებული იყო 14 000 ლარი ლეპტოპების შესაძენად და 77 000 ლარი, რომლის მიზნობრიობაც გაურკვეველი რჩებოდა. აღნიშნული თანხების ჯამი დაახლოებით, 90 000 ლარს შეადგენდა. აგრეთვე, მან აღნიშნა, რომ სხვა დანარჩენ მომსახურებაში ჩადებული იყო 95 000 ლარი.

**ი. ღვალაძემ** განმარტა, რომ 77 000 ლარი იყო წინა წლების არსებული გამოცდილება, რომლის თანახმად, არსებობდა შესაძლებლობა რაღაცის გადაწვის, აფეთქების, მწყობრიდან გამოსვლის და სხვ. მისი აზრით, ინფრასტრუქტურის სიდიდიდან გამომდინარე, არსებობდა სხვადასხვა რისკი, რის გამოც გარკვეული თანხის არსებობა აღნიშნული მიზნით, იყო აუცილებელი.

**ნ. ახალბედაშვილმა** აღნიშნა, რომ შესაძლებელი იქნებოდა პატარა თანხის დატოვება, რათა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი არ მისულიყო კოლაფსამდე. ასევე, მისი აზრით, თუკი არსებობდა შეთანხმება დირექტორატის წევრებს შორის ხელოვნების მუზეუმის პრიორიტეტულობის თაობაზე, მაშინ უნდა გამონახულიყო გარკვეული თანხა ხელოვნების მუზეუმისთვის გადასაცემად.

**ნ. ჭიპაშვილმა** აღნიშნა, რომ წინა წლის გამოცდილებით უნდა მომხდარიყო 2022 წლის ბიუჯეტის შედგენა. მისი აზრით, თუკი ამ დროისთვის ჯანაშიას მუზეუმს არ გააჩნდა კონკრეტული საჭიროება, მაშინ ვერ ხედავდა ამ თანხის აკუმულირების მიზანშეწონილობას კონკრეტული მიზნობრიობის გარეშე და აგრეთვე, დღის წესრიგში არსებული ეთნოგრაფიული მუზეუმისა და ხელოვნების მუზეუმის ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებიდან გამომდინარე, უპირატესად მიაჩნდა, ხელოვნების მუზეუმს, როგორც N1 პრიორიტეტს, მოხმარებოდა არსებული რესურსები.

**ი. ღვალაძემ** განმარტა, რომ აღნიშნული თანხა დღეისათვის არ არსებობდა ანგარიშზე. ეს იყო სავარაუდო თანხა, რომელიც შესაძლო იყო საკუთარი შემოსავლებიდან მიეღო მუზეუმს.

**ნ. ახალბედაშვილი** დაეთანხმა ი. ღვალაძეს საკუთარ შემოსავლების ნაწილში, მაგრამ შეახსენა, რომ თანხის რესურსი არსებობდა საბიუჯეტო ასიგნებებშიც.

**ი. ღვალაძემ** აღნიშნა, რომ 14 000 ლარი 2022 წლის ბიუჯეტში ჩადებული იყო 6-7 კომპიუტერისა და 2 პრინტერის შესაძენად. მისი აზრით, თუკი მუზეუმებს მომავალი წლისთვის ეყოლებოდათ ვიზიტორები და შემოვიდოდა რეალური შემოსავალი, შესაძლებელი იქნებოდა თანხების მიმართვა ამ მიმართულებით. მისი აზრით, შესაძლებელი იყო აღნიშნული მოსაზრების ოქმში დაფიქსირება, რომლის მიხედვით თანხების მოძიების შემთხვევაში, მოხდებოდა მათი მიმართვა ხელოვნების მუზეუმის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისკენ. მისი აზრით, აღნიშნულის დაგეგმვა ვერ მოხდებოდა I და II კვარტალში და უნდა განხორციელებულიყო III-IV კვარტალში.

**ნ. ჭიპაშვილმა** დააფიქსირა მისი მოსაზრება, რომლის თანახმად ეხლავე უნდა მომხდარიყო თანხების დაგეგმვა და მუზეუმებისთვის გადანაწილება.

**ნ. ახალბედაშვილმა** განმარტა, რომ საპროგნოზო მონაცემების თანახმად, საკუთარი შემოსავლები - 1 200 000 ლარი საქართველოს ეროვნულ მუზეუმს ოთხ კვარტალზე ჰქონდა გადანაწილებული და საჭირო იყო ამ თანხების მიზნობრიობის შეცვლა. მისი აზრით, საკმარისად ბევრი იყო ისეთი თანხა, რომელსაც არ ჰქონდა კონკრეტული მიზნობრიობა. მან მაგალითად მოიყვანა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში არსებული 77 000 ლარი, რომელსაც არ ჰქონდა კონკრეტული მიზნობრიობა, აგრეთვე, სხვა დანარჩენ მომსახურებაში ჩადებული იყო - 95 000 ლარი, საიდანაც მხოლოდ 5 000 ლარი იყო გახარჯული სიღნაღისა და ვანის მუზეუმებში ექსპონატების გადაადგილებასთან დაკავშირებით, ბადრაგირების მომსახურების მიზნით. **ნ. ახალბედაშვილის** აზრით, არსებობდა ორი განსხვავებული რეალობა, რომლის მიხედვით არსებობდა თანხა, რომელსაც კონკრეტული დანიშნულება არ ჰქონდა და ამ დროს ხელოვნების მუზეუმი განიცდიდა თანხის დამატების საჭიროებას, და მეორე, რასაც ჰქონდა განსაზღვრული თანხა, მაგრამ მასზე მიზანშეწონილი იყო დამატებითი დისკუსია. მისი აზრით, თუკი ხელოვნების მუზეუმისკენ სრული თანხის გადაქაჩვა წარმოადგენდა პრობლემას, იგი ამ თანხას გამოაკლებდა რაღაც რაოდენობას, რათა ჯანაშიას მუზეუმს არ შექმნოდა პრობლემა, ხოლო დანარჩენს ხელოვნების მუზეუმი მიიღებდა.

**ი. ღვალაძემ** მიმართა დირექტორატის წევრებს შეთანხმებულიყვნენ იმ საკითხზე, რომ საკუთარი შემოსავლები იყო წინასწარ დაგეგმილი თანხა, რომელიც რეალურად რა იქნებოდა და როგორ, არავინ არ იცოდა. მან განმარტა, რომ შესაძლებელი იყო ძალიან ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთება საკუთარი შემოსავლების ნაწილში, მაგრამ რეალობა მაინც სხვა იქნებოდა.

**ნ. ახალბედაშვილმა** დასმულ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ 2022 წელს არ იქნებოდა შემოსავლები, ლოგიკურად, ვერ მოხდებოდა მოთხოვნილი თანხის მიღება. მან კიდევ ერთხელ მოითხოვა განმარტება, რომ თუკი დაგეგმილი იყო 1 200 000 ლარის

შემოსავლების მიღება, რატომ არ შეიძლებოდა აღნიშნული თანხის ხელოვნების მუზეუმში წამოღება და ბიუჯეტში ასახვა.

**ი. ღავალაძემ** უპასუხა, რომ აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყო არა 1 200 000 ლარის შემოსავლების დაგეგმვა, არამედ 1 300 000 ლარის, საიდანაც 100 000 ლარი გამოეყოფოდა ხელოვნების მუზეუმს, მაგრამ რეალურად რა მოხდებოდა, ამის პროგნოზირება შეუძლებელი იყო.

**ნ. ახალბედაშვილმა** აღნიშნა, რომ მისი არგუმენტები ეფუძნებოდა წინა წლის პერიოდიდან მიღებულ შემოსავლებს და არალოგიკურად მიაჩნდა, შემოსავლებში 2 000 000 ლარის დაწერა.

**ი. ღვალაძემ** შეახსენა დირექტორატის წევრებს, რომ გასულ წელს, ნახევარი წლის მანძილზე, მუზეუმები არ მუშაობდა.

**ნ. ახალბედაშვილმა** მოითხოვა, 1 200 000 ლარის გადამისამართება მომხდარიყო ხელოვნების მუზეუმისა და ეთნოგრაფიული მუზეუმის ინფრასტრუქტურის ნაწილში, ხოლო ამ თანხის ზემოთ შემოსული რაოდენობა, მოხმარებოდა ჯანაშიას მუზეუმს და არა, პირიქით.

**ი. ღვალაძემ** იკითხა, კონკრეტულად რა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას გეგმავდნენ მუზეუმები.

**ნ. ჭიპაშვილმა** აღნიშნა, რომ ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ისევე როგორც ხელოვნების მუზეუმში, იყო აქტუალური საკითხები, რომელთა მოგვარება გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა და ვერ მოხდებოდა მათი გადადება ბოლო კვარტლებისთვის.

**ი. ღვალაძემ** აღნიშნა, რომ კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ეთნოგრაფიულ მუზეუმში პირველ კვარტალში ვერ გაკეთდებოდა ვერაფერი.

**ნ. ჭიპაშვილმა** განუმარტა, რომ თავად გაწერდა თანხებს, რადგან შესაძლო იყო არსებული პრობლემების მოგვარება I კვარტალშიც. მისი თქმით, მაგალითად პროექტირებას, ხელს ვერ შეუშლიდა რთული კლიმატური პირობები.

**ი. ღვალაძემ** აღნიშნა, რომ თანხები იყო მინიმალისტურად დაგეგმილი. მეორე მხრივ, არსებობდა საპროგნოზო მაჩვენებელი, რომელიც არავინ არ იცოდა იქნებოდა თუ არა დანამდვილებით. მისი აზრით, აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნებოდა ზოგადად, საქონელი და მომსახურებისა და არაფინანსური აქტივების მუხლების გაზრდა და დათქმის გაკეთება, რომლის თანახმად, მაგალითად, III კვარტალში ხელოვნების მუზეუმისკენ კონკრეტული მიზნობრიობით მიმართული იქნებოდა გარკვეული თანხა და ასევე, იქნებოდა ეთნოგრაფიული მუზეუმის შემთხვევაშიც.

**ნ. ჭიპაშვილმა** აღნიშნა, რომ საერთო საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა ბიუჯეტში არსებული თანხები განაწილებულიყო ხელოვნების მუზეუმსა და ეთნოგრაფიულ მუზეუმზე, ხოლო დანარჩენი შემოსული თანხიდან მოხმარებოდა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს.

**ნ. ახალბედაშვილმა** მოითხოვა საგნობრივი მსჯელობა, თუ რაში დაიხარჯებოდა 100 000 ლარი. მან ასევე აღნიშნა, რომ 2021 წელს გახარჯული თანხა იყო მისთვის ამოსავალი წერილი, რაზე დაყრდნობითაც მოახდინა ბიუჯეტში არსებული თანხების გადანაწილება. მან აღნიშნა, რომ „სასუნთქ გზას“ არ უკეტავდა მუზეუმს და საერთო ჯამში, მიაჩნდა, რომ 430 000 ლარი ოყო ე. წ. ლუფტი, რისი გადანაწილებაც იყო შესაძლებელი ხელოვნების მუზეუმსა და ეთნოგრაფიულ მუზეუმზე. მან განმარტა, რომ ხელოვნების მუზეუმი თუკი N1 პრიორიტეტს წარმოადგენდა, ოფისის საბიუჯეტო ასიგნებებიდან გროვდებოდა 100 000 ლარი (მუზეუმის მიერ ორი თვის კომუნალურ ხარჯზე გათვლილი), ოფისის საკუთარი ხარჯებიდან - დაახლოებით 140 000 ლარი, „სხვა დანარჩენის“ მუხლიდან - 90 000 ლარის რესურსი, რომელსაც კონკრეტული მიზნობრიობა არ გააჩნდა, არაფინანსურში იყო 14 000 ლარი ... და საკუთარ შემოსავლებში - 77 000 ლარი. ამასთან. მან აღნიშნა, რომ ჯანაშიას მუზეუმის ფუნქციონირებისთვის წლის განმავლობაში შესაძლებელი იყო გონივრული თანხის, სავარაუდოდ, 30 000 – 50 000 ლარის გადადება, ხოლო დანარჩენი, კონკრეტული თანხა, დირექტორატის წევრების თანხმობის შემთხვევაში, უნდა გადატანილიყო ეთნოგრაფიული მუზეუმისა და ხელოვნების მუზეუმის ინფრასტრუქტურის მუხლებში.

**ი. ღვალაძემ** აღნიშნა, რომ ნ. ახალბედაშვილის მოთხოვნა იქნებოდა რეალისტური, რომ არ ყოფილიყო საკუთარ შემოსავლებზე საუბარი და ყოფილიყო ბიუჯეტის თანხა, რაზედაც ნ. ახალბედაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნულ თანხაში შედიოდა ბიუჯეტის თანხაც - ოფისის ხარჯებიდან და შეადგენდა 112 000 ლარს.

**ი. ღვალაძემ** აღნიშნა, რომ აღნიშნული თანხა იყო კომუნალური გადასახადების დასაფარად და სამინისტროს არ ჰქონდა მისი დაფარვის ვალდებულება (მითუმეტეს, რომ არც არასოდეს არ იხდიდა მუზეუმების პირველი თვეების კომუნალურ გადასახადს). მისი აზრით, სამინისტრო კოვიდ ინფექციის დროს, კრიზისულ პერიოდში დაეხმარა მუზეუმებს, მაგრამ ყოველთვის ეს ვერ გაგრძელდებოდა.

**ნ. ახალბედაშვილმა** იკითხა, რამდენი ჰქონდა ნაშთი ჯანაშიას მუზეუმს, რაზედაც ი. ღვალაძემ უპასუხა, რომ არ ჰქონდათ არანაირი ნაშთი, მითუმეტეს საკუთარ შემოსავლებში.

**ნ. ახალბედაშვილმა** აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, კომუნალური გადასახადების დაფარვაში სამინისტრო დაეხმარებოდა მუზეუმებს.

**ნ. ჭიპაშვილმა** იკითხა, თუკი იანვარში ჩაიკეტებოდა მუზეუმები, როგორ მოახერხებდნენ კომუნალურების გადახდას მუზეუმები.

**ი. ღვალაძემ** აღნიშნა, რომ მას ჰქონდა ორი თვის თანხა ბიუჯეტში 100 000 ლარის ოდენობით, რითაც შეძლებდა კომუნალური ხარჯების გადახდას, მითუმეტეს, იანვარში 10 დღით იხურებოდა სახელმწიფო დაწესებულებები და გარდა ამისა, „ომიკრონის“ შტამის გავრცელებაც დროებით ფუნქციონირების შეწყვეტის საშიშროების წინაშე აყენებდა მუზეუმებს, რასაც ბუნებრივად მოჰყვებოდა შემოსავლების არ ქონა. მან კიდევ ერთხელ განმარტა, რომ გასულ წლებში კომუნალურ ხარჯებს ყოველთვის ფარავდა თავად მუზეუმი. მხოლოდ შარშან, 2020 წლის ივნისიდან კოვიდ სიტუაციის გაუარესებიდან გამომდინარე, გამოიყო დამატებითი თანხები და სამინისტრომ მთელი სისტემისთვის დაიწყო კომუნალური

გადასახადების დაფარვა. მან აღნიშნა, რომ არსებობდა ,,მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა", საიდანაც მოხდა აღნიშნული გადასახადების დაფარვა. მისი მოსაზრებით, ზოგადად, ბიუჯეტის შედგენისას, მინიმალური თანხა მაინც უნდა იყოს მასში კომუნალური გადასახადების დასაფარად გათვალისწინებული. მან აღნიშნა, რომ თუკი სამინისტროდან არსებობდა დაპირება კომუნალურების გადახდის თაობაზე, ჯანაშიას მუზეუმმა არაფერი იცოდა აღნიშნულის შესახებ, მითუმეტეს, მაშინ როდესაც ჯერ ქვეყნის ბიუჯეტიც არ იყო მიღებული და შესაბამისად, არ იყო ცნობილი, თუ რა თანხები იქნებოდა მასში გაწერილი. ასევე, მისთვის უცნობი იყო იქნებოდა თუ არა ცალკე პროგრამა, საიდანაც მოხდებოდა მუზეუმების დახმარება. მისი აზრით, 100 000 ლარი - ეს იყო საბიუჯეტო თანხა, ხოლო დანარჩენი იყო დაგეგმილი შემოსავლები.

**დ. ლორთქიფანიძემ** მიმართა ნ. ახალბედაშვილს, თუ როგორ წარმოედგინა და რა მიმართულებით სჭირდებოდა თანხა ყველაზე მეტად ხელოვნების მუზეუმს - ტრანსპორტირებისთვის, შიდა მოქმედებებისთვის და სხვ. აგრეთვე, აღნიშნა, რომ იქნებ გამოძებნილიყო რაიმე გზა. მისი აზრით, ერთი იყო ევაკუაციის თემა, რომ მომხდარიყო შენობის მომზადება და მეორე ნაწილი - პროექტირება, რომელთაგან ორივე სერიოზულ თანხებს საჭიროებდა.

**ნ. ახალბედაშვილის** განმარტებით, რამდენიმე მიმართულება არსებობდა: შენობა ფაქტიურად იყო აღსადგენი და იქ ისეთი კოლოსალური სამუშაოები იყო გასაწევი, რომლებიც მოითხოვდნენ კომპლექსურ მიდგომას. მის მიზანს და მოტივაციას წარმოადგენდა ამ პროცესში ეროვნული მუზეუმის მხრიდან მცირე წილობრივი კონტრიბუციის განხორციელება ხელოვნების მუზეუმის აღდგენის მიმართულებით, თუნდაც სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების კუთხით.

**დ. ლორთქიფანიძემ** აღნიშნა, რომ ამ დროისთვის უცნობი იყო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მასშტაბი. მისი აზრით, უნდა გაკეთებულიყო ხარჯთაღრიცხვა, გამოცხადებულიყო ტენდერი და კონკრეტულ კომპანიას უნდა განეხორციელებინა სამუშაოები. მან აგრეთვე, აღნიშნა, რომ მთელი სივრცეების მომზადება არც ისე პატარა კონტრიბუციას წარმოადგენდა და საუბარი იმაზე, რომ ეროვნული მუზეუმი არ იღებდა მონაწილეობას ხელოვნების მუზეუმის აღდგენაში, მისი აზრით, მთლად ზუსტი არ იყო. მან დაასახელა ჯანაშიას მუზეუმის ტერიტორიის სივრცეები, რიქსოსის ტერიტორია, რაც მომზადებულ იქნა ეროვნული მუზეუმის მიერ. გარდა ამისა, მისი აზრით, კონტრიბუციასა და მონაწილეობაზე, და კიდევ, ინტელექტუალურ რესურსზეც, ლაპარაკი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ თუკი დღის წესრიგში იდგა შემდგომში ინფრასტრუქტურის განვითარება, მისი აზრით, დღეისათვის არავინ არ იყო მზად კონკრეტული ციფრებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მხოლოდ იმის დაფიქსირება, რომ ჯანაშიას მუზეუმი მონაწილეობას მიიღებდა აღნიშნულ პროცესში, მისი აზრით, არ იყო გამართლებული, რადგან ხელოვნების მუზეუმის საკითხის გადაწყვეტაზე მუშაობა მოიცავდა პირადად მისი ცხოვრების დიდ ნაწილს, ამიტომ საჭირო იყო, პირველ რიგში, მორალურად პრიორიტეტული შინაარსის დაფიქსირება, ინფრასტრუქტურაში 20 000 ლარი იქნებოდა გათვალისწინებული თუ 30 000 ლარი, ეს ვერ შეცვლიდა სიტუაციას, თუკი საქმე ეხებოდა ფუნდამენტურ ცვლილებებს.

**ნ. ახალბედაშვილის** აზრით, არ იყო გამართლებული ეროვნული მუზეუმის მიერ ლეპტოპების შეძენა, მაშინ, როდესაც ხელოვნების მუზეუმს თანხები ესაჭიროებოდა.

**დ. ლორთქიფანიძემ** აღნიშნა, რომ ვერანაირად ვერ მოხდებოდა მუზეუმების გაჩერება, რადგან ლეპტოპების შეძენა კონკრეტულ მიზნებს ემსახურებოდა, არსებობდა მილიონობით კოლექცია და რეალურად, ლეპტოპების ათჯერ მეტი რაოდენობა იყო საჭირო. ასევე, მისი აზრით, განახლება ესაჭიროებოდა IT ბაზასაც.

**ნ. ახალბედაშვილმა** აღნიშნა, რომ მან კარგად იცოდა, 250 000 ლარი არ იქნებოდა საკმარისი ხელოვნების მუზეუმის აღსადგენად, მაგრამ, მისი აზრით, ეს იყო ის თანხა, რომელსაც ხედავდა სიმონ ჯანაშიას მუზეუმის ბიუჯეტში.

**ნ. ჭიპაშვილმა** მიმართა დ. ლორთქიფანიძეს და შეახსენა, დირექტორატის ერთ-ერთ სხდომაზე გენერალური დირექტორის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ეთნოგრაფიული მუზეუმისთვის შემუშავებული და ვერ განხორციელებული პროექტების თაობაზე, რომელთა დიდი ნაწილი ქაღალდზე რჩებოდა, ძირითადად, თანხების უქონლობის გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ნ. ჭიპაშვილმა** ითხოვა იმის გარკვევა, კონკრეტულად თუ რა თანხა ექნებოდა ეთნოგრაფიულ მუზეუმს 2022 წელს. ასევე, დასძინა, რომ ბიუჯეტის თაობაზე დამუშავებულ ინფორმაციას ელოდებოდა ამ დღეების განმავლობაში ეროვნული მუზეუმის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურისგან და სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოწოდებული და უკვე დაგვიანებული იყო სამინისტროში მისი წარდგენა.

**დ. ლორთქიფანიძემ** აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტები, მოითხოვდა სერიოზული ნაბიჯების გადადგმას და მათი განხორციელება დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული, რადგან ხარისხიანი განვითარება, მისი აზრით, ყოველთვის ძალიან დიდ ციფრებთან იყო დაკავშირებული. მან აღნიშნა, რომ მოიძია დოკუმენტები, თუ რა იყო ეროვნული მუზეუმის მხრიდან მოთხოვნილი ეთნოგრაფიულ მუზეუმთან დაკავშირებით, მ. შ. ფონდების მიმართულებით, ასევე, ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა გაკეთდა ნორვეგიელებთან ერთად. მისი აზრით, საქმე ეხებოდა ძალიან სერიოზულ ციფრებს და იმედი გამოთქვა, რომ ერთად მოხდებოდა აღნიშნული თემების წინ წამოწევა და მათი განხორციელების აუცილებლობის დასაბუთება.

**ნ. ახალბედაშვილმა** აღნიშნა, რომ საუბარი იყო 430 000 ლარზე, რაც საჭირო იყო ხელოვნების მუზეუმის აღდგენაში მონაწილეობისთვის.

**ი. ღვალაძემ** გააჟღერა უახლესი ინფორმაცია მესტიის მუზეუმის ცალკე გამოყოფის თაობაზე, რომლის შედეგად, საპროგნოზო საკუთარ შემოსავლებს - 1 200 000 ლარს, კიდევ გამოაკლდებოდა, სავარაუდოდ, 200 000 ლარი, მ. შ. 150 000 ლარი მესტიის მუზეუმის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული თანხა, ხოლო დანარჩენი - იჯარით მიღბული შემოსავალი. მისი ინფორმაციით, მესტიის მუზეუმის ბიუჯეტიც ცალკე ჩაშლას და შეცვლას საჭიროებდა, რადგან ჯერ არ იყო მესტიის მუზეუმის დირექტორი დანიშნული.

**დ. ლორთქიფანიძის** აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა, 2022 წლის I კვარტლის ბოლოს არსებული საკუთარი შემოსავლების მიხედვით, დაგეგმილიყო ხელოვნების მუზეუმისთვის

გადასაცემი თანხა და მომხდარიყო მისი გაწერა. მან ასევე, აღნიშნა, რომ ვინაიდან ამ დროისთვის არ იყო შპს ,,მეიდან ჯგუფის" ალტერნატივა, ამიტომ შემცირდებოდა იჯარიდან შემოსული შემოსავლებიც.

**ნ. ჭიპაშვილმა** აღნიშნა, რომ ეთნოგრაფიული მუზეუმის საკუთარი შემოსავლები მცირდებოდა და, სავარაუდოდ, იქნებოდა 100 000 ლარი, რაც აისახებოდა 2022 წლის ბიუჯეტში. მან აქვე დასძინა, რომ ვერ მოიცდიდა მარტის ბოლომდე და ეროვნული მუზეუმისგან მოითხოვა ინფრასტრუქტურის მიმართულებით თანხის დამატება.

**დ. ლორთქიფანიძემ** მისი პოზიცია გააცნო დირექტორატის წევრებს, რომლის თანახმად, იგი თვლიდა, რომ 2022 წლის მარტში უნდა განხორციელებულიყო ხელოვნების მუზეუმისა და ეთნოგრაფიული მუზეუმისთვის თანხების გადანაწილება, მაშინ როდესაც საკუთარი შემოსავლების დეტალიზაცია იქნებოდა შესაძლებელი და მოხდებოდა სრულყოფილი ანალიზის ჩატარება. მან დირექტორატის წევრებს საკითხის კენჭისყრა შესთავაზა, რადგან ვერ ხდებოდა შეთანხმება.

**ნ. ჭიპაშვილმა** აღნიშნა, რომ სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტი ელოდებოდა მუზეუმის ბიუჯეტს და არ დათანხმდებოდა აღნიშნულ პირობას. ასევე, მისი აზრით, ვადებში ჩატევა იყო მნიშვნელოვანი, რადგან ამჯერად 2022 წლის ბიუჯეტი იგეგმებოდა 1 წლის ვადით, ხოლო 2022 წლის აგვისტოში მოხდებოდა 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა.

**ი. ღვალაძემ** აღნიშნა, რომ რეალური თანხა, რომელიც ამჟამად გააჩნდა ჯანაშიას მუზეუმს, ეს იყო ბიუჯეტში განსაზღვრული 100 000 ლარი, რომელიც გათვლილი იყო ორი თვის კომუნალური გადასახადების დასაფარად. მისი აზრით, თუკი არსებობდა იმის გარანტია, რომ სამინისტრო დაფარავდა აღნიშნულ ხარჯებს, მაშინ შეიძლებოდა ამ თანხის განაწილება ხელოვნების მუზეუმსა და ეთნოგრაფიულ მუზეუმზე, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან გადასანაწილებელი თანხის ოდენობა, მისი აზრით, საუკეთესო შემთხვევაში, პირველი კვარტლის შემდეგ უნდა განსაზღვრულიყო.

**ნ. ახალბედაშვილმა** დააყენა საკითხი, რათა ახლავე, დაგეგმვის ეტაპზევე განსაზღვრულიყო, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საპროგნოზო საკუთარი შემოსავლებიდან, რომელიც შეადგენდა 1200 000 ლარს, რამდენი მოხმარდებოდა ხელოვნების მუზეუმის ინფრასტრუქტურას და რამდენი გადაუნაწილდებოდა ეთნოგრაფიულ მუზეუმს. მან დასძინა, რომ ჯანაშიას მუზეუმს აღნიშნული თანხიდან თავისთვის უნდა დაეტოვებინა აუცილებელი თანხები, ხოლო რაც ამ თანხების ზემოთ იქნებოდა, ის უნდა გადასულიყო ხელოვნების მუზეუმისა და ეთნოგრაფიული მუზეუმის ბიუჯეტების ინფრასტრუქტურის ნაწილში.

**ნ. ჭიპაშვილმა** დააყენა საკითხი, მომხდარიყო კონკრეტულ თანხაზე შეთანხმება, მისი განსაზღვრა და მუზეუმების ბიუჯეტში გადანაწილება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი არ გამართლდებოდა წინასწარი საპროგნოზო მაჩვენებელი, მაშინ, შესაბამისად, ვერ განხორციელდებოდა ხელოვნების მუზეუმისა და ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ აღნიშნული თანხით გათვალისწინებული კონკრეტული ქმედებები. **ნ. ჭიპაშვილმა** დაამატა, რომ მისთვის თითოეული თეთრი იყო მნიშვნელოვანი, რადგან ეთნოგრაფიულ მუზეუმში

ჭიშკრის  და დაცვის ჯიხურით დაწყებული, ყველაფერი მოითხოვდა რეაბილიტაციას და ასევე, გასათვალისწინებელი იყო დროის ფაქტორიც.

**ნ. ახალბედაშვილმა** მოითხოვა, რათა არსებული რესურსიდან გამომდინარე, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს 100 000 ლარი საბიუჯეტო ასიგნებიდან, ხოლო 330 000 ლარი - საკუთარი შემოსავლებიდან გადაენაწილებინა ხელოვნების მუზეუმისა და ეთნოგრაფიული მუზეუმისთვის. ასევე, მან აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნდა, სამინისტროსთვის ოფიციალურად ეცნობებინათ იმის თაობაზე, რომ დირექტორატის სხდომაზე ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება. მან, ასევე, საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს მიმართა, დაეზუსტებინა მიმდინარე გრანტებიდან 2022 წელს გარდამავალი ნაშთი და მოემზადებინა სახაზინო ამონაწერი.

**ნ. ჭიპაშვილმა** შეაფასა არსებული ვითარება და აღნიშნა, რომ  ბოლო დღეების განმავლობაში საქართველოს ეროვნული მუზეუმის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურისგან უშედეგოდ ელოდა ჩაშლილ ბიუჯეტს, რომელიც მათ მიერ დირექტორატის სხდომაზეც ვერ იქნა მოწოდებული, რითიც დაირღვა სამინისტროში ბიუჯეტის წარდგენის ვადები. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ ვერ შედგა შეთანხმება დირექტორატის წევრებს შორის, ვერ მოხდა ინფრასტრუქტურის  ნაწილში საქართველოს ეროვნული მუზეუმისგან  კონკრეტული თანხების დასახელება, რომლის კონტრიბუციასაც განახორციელებდა საქართველოს ეროვნული მუზეუმი 2022 წელს ხელოვნების მუზეუმსა და ეთნოგრაფიულ მუზეუმთან მიმართებით და ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სხდომა ჩავარდა.

დირექტორატის წევრები ვერ შეთანხმდნენ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მუზეუმების ბიუჯეტის განსაზღვრის საკითხებზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, **ი. ღვალაძემ** მოითხოვა დამატებითი დრო - 1 საათი, რათა მესტიის მუზეუმის გამოყოფასთან დაკავშირებით და დირექტორატის წევრების მოსაზრებების გათვალისწინებით, მოეხდინათ ჯანაშიას მუზეუმის ბიუჯეტის კორექტირება და დირექტორატისთვის წარდგენა.

დირექტორატის წევრებს შორის ვერ  შედგა საბოლოო შეთანხმება, რადგან აღარ მომხდარა მათ შორის კომუნიკაცია.

**დირექტორატის წევრები შეთანხმდნენ:**

- დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუზეუმთა ჯგუფის (შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნული გალერეისა და სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის) მიერ 2022 წლის საშტატო ნუსხაში განხორციელებული ცვლილება.

დირექტორატის წევრები:

სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის

გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე

მუზეუმთა ჯგუფის

დირექტორი ნიკა ახალბედაშვილი

გიორგი ჩიტაიას სახელობის საქართველოს

ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის

მუზეუმის დირექტორი ნინო ჭიპაშვილი

ქართული სპორტის მუზეუმის დირექტორი ნინო სალუქვაძე

**სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუზეუმთა ჯგუფის 2022 წლის**
**საშტატო განრიგი**

| სტრუქტურული ერთეული | საჯარო მოხელის თანამდებობა | საშტატო ერთეული | საფუძველი | სულ საფუძველი |
|---|---|---|---|---|
| ხელმძღვანელობა | დირექტორი | 1 | 1900 | 1900 |
| | დირექტორის მოადგილე | 1 | 1700 | 1700 |
| | დირექტორის მოადგილე, ოქრის ფონდის კურატორი | 1 | 2500 | 2500 |
| ადმინისტრაცია | განყოფილების უფროსი | 1 | 1600 | 1600 |
| | საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი | 1 | 1200 | 1200 |
| | ლოჯისტის სპეციალისტი | 1 | 1150 | 1150 |
| | მატერიალური მიმართულების სპეციალისტი | 1 | 900 | 900 |
| | იურისტი | 1 | 1300 | 1300 |
| | მარკეტინგის სპეციალისტი | 1 | 1300 | 1300 |
| | შესყიდვის სპეციალისტი | 1 | 1100 | 1100 |
| | ინფრასტრუქტურის სპეციალისტი | 1 | 1100 | 1100 |
| | საქმისწარმოების სპეციალისტი | 1 | 1000 | 1000 |
| | IT სპეციალისტი | 1 | 1180 | 1180 |
| სარეტაქტირებელი განყოფილება | განყოფილების უფროსი | 1 | 1600 | 1600 |
| | კონსერვატორი | 21 | 800 | 16800 |
| | ასისტენტ კონსერვატორი | 1 | 700 | 700 |
| საგამოფენო განყოფილება | განყოფილების უფროსი | 1 | 1600 | 1600 |
| | სივრცის მთავარი კურატორი | 2 | 950 | 1900 |
| | უფროსი ასისტენტი | 2 | 750 | 1500 |
| | უსაფრთხოების სპეციალისტი | 1 | 1100 | 1100 |
| | ზედამხედველი | 20 | 550 | 11000 |
| | ექსპოზიციის სპეციალისტი | 3 | 700 | 2100 |
| სამეცნიერო საგანმანათლებლო განყოფილება | განყოფილების უფროსი | 1 | 1600 | 1600 |
| | უფროსი მეცნიერ თანამშრომელი | 2 | 850 | 1700 |
| | მეცნიერ თანამშრომელი | 6 | 800 | 4800 |
| | სივრცის მთავარი კურატორი | 1 | 950 | 950 |
| | სივრცის უფროსი კურატორი | 1 | 800 | 800 |
| | უფროსი ასისტენტი | 2 | 750 | 1500 |
| | რედაქტორი | 1 | 800 | 800 |
| | სივრცის კურატორი | 2 | 700 | 1400 |
| | გიდი-პედაგოგი | 3 | 550 | 1650 |
| დაცვა-ალარმი განყოფილება | განყოფილების უფროსი | 1 | 1600 | 1600 |
| | უფროსი ასისტენტი | 2 | 750 | 1500 |
| | ასისტენტი | 1 | 650 | 650 |
| | კონსულტანტი | 3 | 250 | 750 |
| | | | | 0 |
| ფონდები | კურატორი | 7 | 850 | 5950 |
| | კურატორის მოადგილე | 10 | 800 | 8000 |
| | ასისტენტი | 5 | 650 | 3250 |
| | უფროსი ასისტენტი | 4 | 750 | 3000 |
| **საქართველოს ეროვნული გალერეა** | | | | 0 |
| ფონდები | კურატორის მოადგილე | 6 | 800 | 4800 |
| | ასისტენტი | 5 | 650 | 3250 |
| | უფროსი ასისტენტი | 6 | 750 | 4500 |
| **სიღნაღის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი** | | | | 0 |
| | ადმინისტრატორი | 1 | 1600 | 1600 |
| | კურატორის მოადგილე | 2 | 800 | 1600 |
| | ასისტენტი | 3 | 650 | 1950 |
| | კურატორი | 1 | 850 | 850 |
| | ზედამხედველი | 3 | 550 | 1650 |
| | გიდი-პედაგოგი | 2 | 550 | 1100 |
| | | **146** | **47980** | **117430** |